საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №4
2017 წლის 10 იანვარი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 თებერვლის №103 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 11 თებერვლის №103 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 11/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 140130000.22.034.016411) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის V თავი:

„თავი V. გარდამავალი დებულებები

მუხლი 15. უფლებამონაცვლეობის განსაზღვრა და ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგება

1. დეპარტამენტის მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე გაფორმებულ სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებში და მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში 2017 წლის 1 იანვრიდან შემსყიდველად, აგრეთვე მოთხოვნა-ვალდებულებების ნაწილში დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ განისაზღვროს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

2. დეპარტამენტის მიერ სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტისათვის საბალანსო მონაცემების მიხედვით ქონების (მათ შორის, უძრავი ქონება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სხვა ქონება) და საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაციის გადაცემის მიზნით შეიქმნას შესაბამისი კომისია (კომისიები).“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი **ბესიკ ამირანაშვილი**